„სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N 39/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებული პროფესორის კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 21 მარტის N: 24/2022 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

N3 ოქმი

ქ. თბილისი 8 აპრილი, 2022 წელი

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა (5) წევრი - 1. თამარ გაგოშიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. მანანა გაბაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ლალი სურმანიძე (კომისიის მდივანი); 4. მარინე ჩიტაშვილი; 5. მზია წერეთელი

დღის წესრიგი:

„სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N 39/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და მისი დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ თამარ გაგოშიძის და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე გასაუბრებაზე კონკურსანტის გამოსვლის შედეგები.

კომისია ასევე გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს და შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორის თანამდებობაზე ვლადიმერ გამსახურდიას გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა – 5, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: პროფ. თამარ გაგოშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე პროფ. მანანა გაბაშვილი

კომისიის მდივანი: პროფ. ლალი სურმანიძე

პროფ. მზია წერეთელი

პროფ. მარინე ჩიტაშვილი